

პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი  
PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL  
ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 90  
წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოცემა  
Anniversary edition dedicated to the 90th anniversary of  
Akaki Tsereteli State University  
Юбилейное издание, посвященное 90-летию Государственного  
университета Акакия Церетели

ISSN 2346-8467

აგრო  
AGRO  
АГРО  
NEWS

№10

ქუთაისი – Kutaisi – Кутаиси  
2023

**ჟურნალი წარმოადგენს**  
**იმერეთის აგროეკოლოგიური ასოციაციის კავშირისა და**  
**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის**  
**პერიოდულ-სამეცნიერო გამოცემას**

**სარედაქციო კოლეგია:**

**ლორთქიფანიძე როზა** – (მთავარი რედაქტორი);

**სანთელაძე ნატალია**- (სწავლული მდივანი);

**წევრები:** პაპუნიძე ვანო; შაფაკიძე ელგუჯა; ასათიანი რევაზი; კოპალიანი როლანდი; ჯაბნიძე რევაზი; კინწურაშვილი ქეთევანი; ხასაია იზოლდა; ჭაბუკიანი რანი; ქობალია ვახტანგი; ფრუიძე მაყვალა; ჩახხიანი-ანასაშვილი ნუნუ; დოლბაია თამარი; ყუბანეიშვილი მაკა; კელენჯერიძე ნინო; ყიფიანი ნინო; ხელაძე მაია; კილასონია ემზარი; კევიციანი მანანა; ჩხიროძე დარეჯანი; ჯობავა ტრისტანი; წიქორიძე მამუკა; თავბერიძე სოსო; თაბაგარი მარიეტა; კილაძე რამაზი; ბენიძე ეთერი; ჟორჯოლიანი ცირა; დუმბაძე გუგული; ნემსაძე მარიამი.

**სარედაქციო კოლეგიის საზღვარგარეთის წევრები:**

ჩუხნო ინა (უკრაინა); გოგთურქ თემალი (თურქეთი); თურგუტ ბულენტი (თურქეთი); ბელოკონევა-შიუკაშვილი მარინა (პოლონეთი); გასანოვი ზაური (აზერბაიჯანი); მამმადოვი რამაზანი (თურქეთი); სანტროსიანი გაგიკი (სომხეთი); სადინდიევი ულტემურატი (ყაზახეთი).

**The magazine is a periodical scientific publication of**  
**Imereti Agro-ecological Association and**  
**Akaki Tsereteli State University Faculty of Agrarian Studies.**

**EDITORIAL BOARD**

**Lortkipanidze Roza**– (Editor in Chief);

**Santeladze Natalia**– (Academic Secretary);

**Members:** Papunidze Vano; Shapakidze elguja; Asatiani Revaz; Kopaliani Roland; Jabnidze Revaz; Kintsurashvili Ketevan; Khasaia Izolda ; Chabukiani Rani; Qobalia Vaxtang; Fruidze Makvala; Chachkhiani-Anasashvili Nunu; Dolbaia Tamar; Kubaneishvili Maka; Kelendjeridze Nino; Kipiani Nino; Xeladze Maia; Kilasonia Emzar; Kevlishvili Manana; Chxirodze Daredjan; Jobava Tristan; Tsiqoridze Mamuka; Tavberidze Coco; Tabagari Marieta; Kiladze Ramaz; Benidze Eter; Zhorzholiani Tsira; Dumbadze Guguli; Nemsadze Mariam.

**FOREIGN MEMBERS OF EDITORIAL BOARD**

Chuxno Inna (Ykraine); Gokturk Temel (Turkey); Turgut Bulent (Turkey); Belokoneva-Shiukashvili Marina (Poland); Gasanov Zaur (Azerbaijan); Mammadov Ramazan (Turkey); Santrosian Gagik (Armenia); Sagyndykov Ultemurat (Kazakhstan).

**Журнал представляет**  
**Периодическое научное издание**  
**Союза агроэкологической ассоциации Имерети и**  
**Аграрного Факультета Государственного Университета Акакия Церетели**

**РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:**

**Лорткипанидзе Роза** – (главный редактор);

**Сантеладзе Наталия** – (Ученый Секретарь);

**Члены:** Папунидзе Вано; Шафакидзе Элгуджа; Асатиани Реваз; Копалиани Роланд; Джабнидзе Реваз; Кинцурашвили Кетеван; Хасая Изольда; Чабუкиანი Рანი; Кобалия Вахтанг; Пруидзе Маквала; Чახჩიანი-ანასაშვილი ნუნუ; დობაია თამარ; კუბანეიშვილი მაკა; კელენჯერიძე ნინო; კიპიანი ნინო; ხელაძე მაია; კილასონია ემზარ; კევილიშვილი მანანა; ჩხიროძე დარეჯან; ჯობავა ტრისტან; წიქორიძე მამუკა; ტავბერიძე სოსო; ტაბაგარი მარიეტა; კილაძე რამაზ; ბენიძე ეთერი; ჯორჯოლიანი ცირა; დუმბაძე გუგული; ნემსაძე მარიამ.

**ЗАРУБЕЖНЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ:**

Чухно Инна (Украина); Гоктурк Темал (Турция); Тургут Булент (Турция); Белоконева-Шиукашвили Марина (Польша); Гасанов Заур (Азербайджан); Маммадов Рамазан (Турция); Сантросян Гагик (Армения); Сагиндигов Ултемурат (Казахстан)

თამილა არდემანაშვილი, ინგა გაფრინდაშვილი, ნანა ჯაბნიძე – კლიმატური ცვლილებების გავლენა აჭარის შავიზღვისპირა ტერიტორიაზე გავრცელებული ბუტია პალმის ტექნიკურ მახასიათებლებზე _____	9
ნინო კვლენჯერიძე, ნატალია სანთელაძე – ნიადაგური კვლევები დაფნის კულტურის გავრცელებისთვის (კახეთის რეგიონი, საქართველო) _____	12
როლანდ კოპალიანი, ანდრო ხეთერელი – “ფიზალისის ( <i>physalis peruviana</i> ) გავრცელების პერსპექტივები საქართველოში _____	16
<b>Roland Kopaliani, Nino Kipiani – Results of Phenological Observation of Hybrid Relatives Obtained by Crossing with Spontaneous Mutants of Lemon Meyer Trifoliata _____</b>	<b>20</b>
როზა ლორთქიფანიძე, ნუნუ ჩაჩხიანი-ანასაშვილი, გიორგი იაკობაშვილი – ნეშომპალა-კარბონატულ ნიადაგებზე ქლიავის ( <i>Prunus domestica</i> ) სამრეწველო წარმოება იმერეთის რეგიონში _____	23
ნინო მარგველაშვილი – მიღწევები ცხოველთა ტრანსგენეზში _____	26
მაკა ყუბანეიშვილი – გულ-სისხლძარღვთა დაავადებების სამკურნალო - სამკურნალო მცენარეები _____	36
ნანა ჯაბნიძე, რეზო ჯაბნიძე, ლაშა ზოიძე, ხათუნა ბოლქვაძე – აბორიგენული საღვინე ვაზის ჯიში „საწურის“ ფენოლოგიური დაკვირვების შედეგები ქედის მუნიციპალიტეტის პირობებში _____	42
ჯინჭარაძე ნატალია – ტუნგის ხე – ცხიმ-ზეთოვანი კულტურა, მისი აგროტექნოლოგია და სამრეწველო დანიშნულება _____	47
<b>Tristan Jobava – Results of Studying the Intensity of Photosynthesis, Respiration Activity, Pigments and Sugars in Leaves of Lemon Dioskuria According to Periods _____</b>	<b>52</b>
თამარ ხუციძე – ეკოლოგიურად სუფთა მწვანე ჩაის ხსნადი ექსტრაქტის სამკურნალო მეთოდები ინფიცირებული, ძნელად შესახორცებელი ჭრილობებისათვის _____	56

ნუნუ დიაკონიძე, ნინო ხონელიძე – ქუთაისის ბოტანიკური ბაღის  
ფლორის გვიმრები \_\_\_\_\_ 61

ნანა გოგიშვილი – საქართველოში გავრცელებული ტყემლის ჯიშური ფორმების ქიმიურ-ტექნოლოგიური გამოკვლევა _____	71
ნანა გოგიშვილი – შრომის უსაფრთხოება ტურიზმის სფეროში, გამოწვევები, პრობლემები _____	78
ლუიზა გორგოძე, მარინა კუცია – ზამბახისებრთა (Iridaceae) ოჯახის ზოგიერთი იშვიათი, გადაშენებადი და ენდემური სახეობების ex-situ კონსერვაცია ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში და მათი გამოყენება დეკორატიულ მეზალოგიაში _	83
ეკატერინა გუბელაძე – ზოგიერთ ლამაზად მოყვავილე მერქნიანების ყვავილობა ქუთაისის ბაღებსა და სკვერებში _____	94
სოსო თავბერიძე, ემზარ კილასონია, შორენა კაპანაძე – სატრაქტორო აგრეგატის კინემატიკის ზოგიერთი საკითხი ფერდობული მიწათმოქმედების პირობებში _____	101
ეკატერინე კახნიაშვილი – მცენარეული ნედლეულით ჩაის პროდუქციის სამკურნალო-პროფილაქტიკური თვისებების ამაღლება _____	107
ზაზა პაპიძე, შორენა ფხაკაძე – ინვერტორების როლი მზის ელექტროენერგეტიკული სისტემების გამართულ მუშაობაში _____	112
იზა ოჩხიკიძე – მცირე არქიტექტურული ფორმების როლი ლანდშაფტურ დიზაინში _____	118
ცირა ჟორჟოლიანი, ემზარ გორდაძე – ეკოლოგიური კრიზისი და მისი შედეგები _____	123
მაყვალა ფრუიძე, შორენა ჩაკვეტაძე, ეკატერინე ბენდელიანი – კენკროვანი მცენარეებისაგან ბალახოვანი ჩაის მიღების ტექნოლოგია	130
ნანა ქათამაძე – ხილის სხვადასხვა ჯიშების ხელოვნური შრობა _____	137
ქეთევან ქუთელია – ყვავილნარი ყვავილების გარეშე _____	142
ქეთევან ქუთელია – ბონსაის ხელოვნება _____	146
მამუკა წიქორიძე – ატომური ტექნიკის გამოყენება სოფლის მეურნეობის მექანიზაციასა და ელექტროფიკაციაში _____	151

მანანა კობახიძე, პაპუნა კუპრაშვილი – სამედიცინო ტურიზმი და საქართველო _____	157
სერგო ცაგარეიშვილი, მანანა კობახიძე – ისტორიულ-რომანტიკული ტური ქუთაისში _____	161

ეთერ ბენიძე, გიორგი კილაძე – მცენარეების მნიშვნელობა დასახლებული ტერიტორიების ტემპერატურული რეჟიმის ფორმირებაში _____	173
<b>Kopalian Lia, Kiladze Giorgi, Ekaterine Arveladze, Liana Gogelia – Resort "Dzughuri" (source of immortality) its natural diversity, healing properties and the possibility of tourism development _____</b>	<b>181</b>
<b>Roza Lortkipanidze, Natalia Santeladze – Greenhouse gas emissions in Georgia's agroecological environment _____</b>	<b>184</b>
აკაკი ნასყიდაშვილი – მთიანი აფხაზეთის ბუნება _____	186
ნინო მოწინიძე – მდინარე ხანისწყლის ხეობის გეოგრაფიული მდებარეობა და ბუჩქნარ-ბალახოვანი მცენარეულობა _	193
ქეთევან ჩიქვინიძე, ნინო მარგველაშვილი – რიდონეტით გამოწვეული ფიზიოლოგიური და გენეტიკური ცვლილებები სოიას ტესტ სისტემაში _____	197
მაია ხელაძე – წყლის რესურსების დაბინძურების გამომწვევი მიზეზები და შედეგები _____	207
გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, კონსტრუქტორი, პედაგოგი _	212
<b>Prominent Georgian Scientist, Constructor, pedagogue _____</b>	<b>217</b>

# 4

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

**NATURAL SCIENCES**

**ЕСТЕСТВЕННЫЕ НАУКИ**



## მთიანი აფხაზეთის ბუნება

### აკაკი ნასყიდაშვილი

გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

*ნაშრომში მოცემულია მთიანი აფხაზეთის ბუნება. ნაჩვენებია მისი რელიეფის მრავალფეროვნება. გეოლოგიური აგებულება, სასარგებლო წიაღისეული და მინერალური წყაროების სიუხვე. განხილულია მთიანი აფხაზეთის კლიმატი და ჰავის წარმოქმნის ფაქტორები. მთის მდინარეების საზრდოობის სახეები, ტბები და მყინვარების ფართობი. ნიადაგების ზონალობა, ფლორისა და ფაუნის სახეობები, რომლებიც გავრცელების მხრივ ქმნიან მკაფიოდ გამოხატულ სიმალღებრივ ზონებს.*

*მთიანი აფხაზეთის ბუნებრივი რესურსების სიმდიდრე: მინერალური წყლები, თოვლიანი მთები, სუფთა ჰაერი, თბილი ზაფხული, ჰაერის ზომიერი სინოტივე, მზიანი დღეთა რაოდენობა, თბილი ზამთარი, სუსტი ქარები, რელიეფის მრავალფეროვნება და ლამაზი ლანდშაფტი წარმოადგენს ამ მხარის კომფორტული კლიმატის დამახასიათებელ თვისებებს. ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების მრავალფეროვნება, მთიანი აფხაზეთს ტურიზმის, დასვენებისა და სამკურნალო კუთხით არაჩვეულებრივ მიმზიდველობას სძენს.*

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა მდებარეობს საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. მისი ფართობი შეადგენს 8.7 ათას კვადრატულ კმ\_ს. აფხაზეთის ტერიტორიის ჩრდილოეთი საზღვარი კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის თხემს გასდევს. სამხრეთით და სამხრეთ \_ დასავლეთით შავი ზღვა აკრავს. ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი მდ. ფსოუზე გადის, ხოლო აღმოსავლეთი – სვანეთ-აფხაზეთის ქედზე და მდ. ენგურის ქვემო დინებაზე. ჩრდილოეთით ესაზღვრება რუსეთის ფედერაცია. აღმოსავლეთით მესტიისა და წალენჯიხის რაიონები.

რელიეფი. გეომორფოლოგიურად აფხაზეთი ძირითადად მთაგორიანია. მისი ტერიტორიის დაახლოებით 74,5% მთებსა და მთისწინეთს უჭირავს. მთიანი აფხაზეთი, რომელიც კავკასიონის მთიანი სისტემის ფარგლებში მდებარეობს, უმთავრესად მოიცავს კოდორისა და ბზიფის აუზებს. ქედებიდან უდიდესია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ გადაჭიმული კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი. ქედის მთავარი მწვერვალებია: ალებსთა (3261 მ), ფსიში (3790 მ), ერწახვი (3910 მ), დომბაიულგენი (4046 მ), გვანდრა (3985 მ). ქლუხორისა (2781 მ) და მარუხის (2746 მ) უღელტეხილები. მთავარი ქედი ციცაბოდ ეშვება მდინარეების საკენის, ჩხალთის და ბზიფის ტექტონიკურ-ეროზიული ხეობებისაკენ. მთიანი აფხაზეთის შუა ნაწილი უჭირავს კავკასიონის გვერდით ქედებს: გაგრის, ბზიფის, კოდორისა და სვანეთ-აფხაზეთის, რომლებსაც, თავის მხრივ მრავალი განშტოება აქვთ. გაგრის მერიდიანულ ქედზე აღმართული მწვერვალებია: ახალი (2736 მ), სპელეოლოგების მთა (2757 მ), არაბიკა (2660 მ), უღელტეხილი ახუკდარა (2106 მ), ალებსთა (3261 მ). გაგრის ქედი მდ. გაგრიფშისა და ჟოეკვარას ხეობებს ბზიფის ხეობისაგან გამოყოფს. აქ უხვადაა განვითარებული რელიეფის კარსტული ფორმები. მთიანი აფხაზეთის ცენტრალური ნაწილი ბზიფის სუბგანედურ ქედს უკავია (მწვ. კაპიშისტრა – 3156 მ), რომელიც ამავე დროს წარმოადგენს მდინარეების კოდორის, ხიფსთის, ააფსთის, გუმისთის, კელასურისა და ბზიფის აუზე-



ბის წყალგამყოფს. ბზიფის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთური გაგრძელებაა ჩხალთის ქედი, რომელიც ყოფს მდ. ჩხალთის აუზს მდ. ამტყელ-ჯამპალისა და ზიმას აუზისგან. ეს ქედი დაგვირგვინებულია შხაფიძგას მწვერვალით (3029 მ). მწვ. ხოჯალის (3309 მ.) დასავლეთით მდებარე კოდორის ქედი შედარებით დაბალია, ხასიათდება რბილი რელიეფით და მოკლებულია თანამედროვე მყინვარებს. მწვ. ხოჯალის ჩრდილო-აღმოსავლეთით აზიდული სვანეთ-აფხაზეთის ქედი კი გაცილებით მაღალია (მწვერვალები: მოგუაშირხა – 3847მ, ხარხრა – 3710მ) და მარადიული თოვლითა და მყინვარებით არის დაფარული და ტიპური ალპური რელიეფით ხასიათდება. ამ ქედის ყველაზე მოხერხებული უღელტეხილია ხიდა (2633 მ), რომელიც აფხაზეთს ზემო სვანეთთან აკავშირებს. მთიანი აფხაზეთი გამოირჩევა ზედაპირის ეროზიული დანაწევრების ხშირი და დიდი სიღრმით. მათგან გასწვრივი ტექტონიკურ-ეროზიული ხეობები შედარებით განიერი და დამრეცია, განივი კი – ვიწრო და მაღალი დახრილობის ფერდობებით ხასიათდება, რომელთა მრავალ უბანზე განვითარებულია კანიონები და კლდეკარები. აფხაზეთის კავკასიონის სამხრეთ კალთაზე გადაჭიმულია რთული აგებულების მთისწინეთის ზოლი, რომელიც წარმოდგენილია მკვეთრად დანაწევრებული გორაკ-ბორცვიანი – სერებიანი და ტაფობიანი რელიეფით.

გეოლოგიური აგებულება და სასარგებლო წიაღისეული. მთიანი აფხაზეთის ტერიტორია მოიცავს კავკასიონის სამხრეთი ფერდობის ნაოჭა სისტემისა და საქართველოს ბელტის დასავლური ნაწილების სტრუქტურებს, რომლებიც აგებულია აქ წარმოდგენილი კამბრიულისწინა, პალეოზოური, მეზოზოური და კაინოზოური ასაკის დანალექი და მაგმური ქანებით.

წიაღისეულიდან აღსანიშნავია ტყვარჩელისა და ბზიფის ქვანახშირის საბადოები, ვერცხლისწყლის საბადო მდ. ბზიფის სათავეში. ბევრგანაა ტყვიის, თუთიის, სპილენძისა და სხვა ლითონების მადანგამოვლინებები. არალითონური წიაღისეულიდან ძირითადად გვხვდება ბარიტი (ბზიფის, კოდორის და ააფსთის ხეობებში), თაბაშირი, საშენი მასალები; განსაკუთრებით უხვად არის მტკნარი, სამკურნალო მინერალური ნახშირორჟანგის შემცველი წყლები, ასევე თერმიული წყლები – მდინარეების კოდორის საკენის, გვანდრის, ჩხალტის, ბზიფის, ავადჰარისა და სხვა ხეობებში.

ნიადაგები. აფხაზეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი მთის ტყის ნიადაგებს უჭირავს, რომლებიც, კირქვებით აგებულ ზონაში წარმოდგენილია ნემომპალა-კარბონატული, ხოლო კარბონატულ ზონაში – საშუალო და მცირე სისქის ტყის ყორმალი ნიადაგებით. ტყის ზედა სარტყლის ზონაში განვითარებულია კარბონატული და გაწერებული ტყის ყორმალი ნიადაგები. სუბალპურ ზონაში კორდიანი და კორდიან-ტორფიანი მთის მდელოს ნიადაგები; ხოლო ალპური მდელოების ზონაში – პრიმიტიული, მცირე სისქის კორდიან-ტორფიანი მთის მდელოს ნიადაგები, მცირე უბნების სახით თითქმის ყველა ზონაში გვხვდება ძლიერ ჩარეცხილი და სუსტად განვითარებული ნიადაგები.

ჰავა. აფხაზეთის ჰავა ზღვის ჰაერის მასების ძლიერი ზეგავლენის ქვეშ იმყოფება. რაც ატმოსფერული ნალექების სიუხვეს და ჰაერის მაღალ შეფარდებით ტენიანობას განაპირობებს წლის ყველა სეზონში; ზღვის სიახლოვე და ოროგრაფიული პირობები იწ-



ვევენ ატმოსფერული ნალექების ზრდას სიმაღლის მიხედვით. აფხაზეთში სიმაღლებრივი ზონების მიხედვით გამოიყოფა შემდეგი ჰავის ტიპები: ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავა თბილი ზამთრითა და ხანგრძლივი ცხელი ზაფხულით (ზ.დ-დან 300-400 მ-მდე); ნოტიო ჰავა ზომიერად ცივი ზამთრითა და ხანგრძლივი თბილი ზაფხულით (300-400 მ-დან 1000-1100 მ-მდე); ნოტიო ჰავა ცივი ზამთრითა და ხანგრძლივი გრილი ზაფხულით (1000-1100 მ-დან 2000-2100 მ-მდე); მაღალმთის ნოტიო და გრილი ჰავა (2000-2110 მ-დან 2800-2900 მ-მდე) და მაღალმთის ნივალური ჰავა (2800-2900 მ ზევით). ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა მთისწინეთსა და მთიან ზოლში 3,50-დან (ავადხარა) 11,90\_მდე (მერყეობს) მერყეობს, ხოლო მაღალ მთებში 2000 მ-დან 2600 მ სიმაღლემდე 00-ია.

ყველაზე თბილი თვის (ივლისი, აგვისტო) საშუალო ტემპერატურა კავკასიონის თხემურ ნაწილზე 00-ზე დაბალია; ზემო და ქვემო აჟარაში კი შესაბამისად 18,70 და 20,10-ს აღწევს. ყველაზე ცივი თვის (იანვარი) საშუალო ტემპერატურა დაბალ და საშუალო მთიან ადგილებში 2,10 (ტყვარჩელი) და \_1,60-ს (ფსხუ) არ აღემატება. ამდენად დაბალი და საშუალო მთის რეგიონის ჰავა მიეკუთვნება – ნოტიო ჰავის კლიმატურ ზონას ზომიერად ცივი ზამთრითა და ხანგრძლივი, თბილი ზაფხულით. მთებში, ზღვის დონიდან სიმაღლის მატებასთან ერთად, იანვრის თვის საშუალო ტემპერატურა კლებულობს: -6.70 (ავადხარა); -3.90(გაგრის ქედი); აფხაზეთის კავკასიონის თხემზე -18 -190-მდე ეცემა. ჰაერის საშუალო წლიური მაქსიმალური ტემპერატურა მერყეობს 16.40-დან (ფსხუ) 8.70-მდე (გაგრის ქედი). ჰაერის აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა იცვლება 430-დან (ლათა), 390 (ზემო აჟარა), 410 (ქვემო აჟარა), ხოლო კავკასიონის მთების თხემებზე +100 - +150\_მდე ეცემა. შესაბამისად საშუალო წლიური მინიმუმი იცვლება -1.20-დან (ავადხარა), -17.20-მდე (ტყვარჩელი, ლათა), +5.00 +5.60 (ზემო და ქვემო აჟარა) ფარგლებში. შესაბამისად აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურაა \_170 (ტყვარჩელში) \_180 (ლათა). -280 (გაგრის ქედზე) და -210 (ზემო და ქვემო აჟარაში). მკვეთრია ტემპერატურის რყევა მთათაშუა ქვაბულებში, სადაც აღინიშნება ტემპერატურული ინვერსიები. ზ.დ-დან 500-600 მ სიმაღლეზე სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა 200 დღემდე გრძელდება, ხოლო 10\_ზე მაღალი ტემპერატურათა ჯამი 3000 - 35000 აღწევს, რაც სავსებით საკმარისია რეგიონში ბუნებრივი და სასოფლო\_სამეურნეო მცენარეთა ზრდა განვითარებისათვის.

ჰაერის ფარდობითი ტენიანობის საშუალო მნიშვნელობა წლის განმავლობაში შეადგენს: 81% ავადახარაში (1600 მ); 83% ფსხუში (685 მ); 74% გაგრის ქედზე (1644 მ); 76% ზემო აჟარაში (952 მ); 79% ქვემო აჟარაში (595 მ); 81%-ს ლათაში (299 მ).

მთიან აფხაზეთში ღრუბლიანობა მაღალია; ნიადაგის ზედაპირის ტემპერატურის საშუალო წლიური მნიშვნელობა კლიმატური ზონების მიხედვით მერყეობს: 60-დან (გაგრის ქედი 1644 მ) 120-მდე (ქვემო აჟარა 595 მ).

მთიან აფხაზეთი არ გამოირჩევა ძლიერი ქარებით. ქარის სიჩქარის თვის საშუალო და წლიური მნიშვნელობა მერყეობს: 0,7 მ/წ-დან ქვემო აჟარა (595 მ) 2,9 მ/წ-მდე გაგრის ქედი (1644 მ). ზემო აჟარაში (952მ) გაბატონებულია დასავლეთის და ჩრდილო-

დასავლეთის ქარები, ხოლო ქვემო აჟარაში სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების ქარები; გაგრის ქედზე კი აღმოსავლეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარები ხშირია მთა-ხეობის ქარი. ელჭექიან დღეთა რიცხვი იცვლება 20-40 -მდე წელიწადში.

მთიან აფხაზეთში ატმოსფერული ნალექები სივრცობრივად არათანაბრადაა განაწილებული, როგორც ცალკეულ ოროგრაფიულ რეგიონებს შორის, ისევე წლის სეზონების მიხედვით

საშუალოდ, წლიურად მთისწინეთსა და მთებში ზღვის დონიდან სიმაღლის ზრდასთან ერთად ნალექების რაოდენობა მატულობს: - 1561 მმ-დან გენწვიში (780 მ); 2481 მმ-მდე ავადხარაში (1600 მ); 2281 მმ გაგრის ქედზე (1644 მ); 1793 მმ ზემო აჟარაში (952 მ); 1640 მმ ქვემო აჟარაში (595 მ); 1679 მმ გვანდრაში (850 მ); 1647 მმ ჩხალთაში (710 მ); ბზიფისა და კოდორის ქედების სამხრეთ კალთებზე ნალექების რაოდენობა 3000 მმ-ს აღემატება. შედარებით ნაკლები რაოდენობის ნალექი მოდის მთათაშორის ქვაბულებში - 1500-1800 მმ; წლის განმავლობაში ნალექების მაქსიმუმი ზამთარშია, მინიმუმი კი ზაფხულში. ამ მხრივ მთიანი აფხაზეთის ჰავა ხმელთაშუაზღვის ჰავის ტიპს ემსგავსება. ზამთარში ნალექების მნიშვნელოვანი ნაწილი თოვლის სახით მოდის. თოვლის საფარის სისქე 2-4 მ-ს აღემატება .

შიგა წყლები. მთიან აფხაზეთში მდინარეთა ქსელი ხშიარია. მთავარი მდინარეებია კოდორი, ბზიფი, ლალიძგა, გუმისთა მოქვი, კელასური, ფსოუ და ენგური. მდინარეებზე ბევრი წყალვარდნილი და ჭორომია, ახასიათებთ სწრაფი დინება. მდინარეები შერეული საზრდოობისაა: ზღვის დონიდან 2000 მ-მდე უმთავრესად წვიმის წყლით, მაღალ მთებში თოვლისა და ყინულის ნადნობი წყლით. მიწისქვეშა წყლებით საზრდოობის როლი კარსტულ ზონაში. დონეების მაქსიმუმი გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისშია, მინიმუმი ზამთარში.

აფხაზეთში ბავრი ტბა, მაღალ მთებშია განლაგებული, უმეტესად მყინვარული და კარსტული წარმოშობისაა: რიწა, ადუედა, აძიჟი, დერიკვარაძიში, ყვარაში, პატარა რიწა, ამტყელი, ცისფერი ტბა და ა.შ. აფხაზეთის მაღალმთიან ნაწილში 376 მყინვარია, საერთო ფართობით დაახლოებით 70 კვ.კმ.

მცენარეული საფარი. აფხაზეთში 2 ათასზე მეტი სახეობის მცენარეა, მათ შორის 150 სახეობის ხე და ბუჩქოვანი მცენარე. მცენარეულობა მდიდარია ენდემებით და რელიქტებით, დაახლოებით 110-მდე სახეობის. გავრცელების მხრივ ქმნიან მკაფიოდ გამოხატულ სიმაღლებრივ ზონებს. გორაკ-ბორცვიანი მთისწინეთი და მთების ქვედა კალთები (600-700 მ-მდე) მეზოფილურ კოლხურ ტყეებს უჭირავს. მთავარი ჯიშებია მუხა, რცხილა, წაბლი, წიფელი, ივანი, ცაცხვი, მურყანი. მდიდარია გარეული ხეხილით. ქვეტყეში იზრდება მარადმწვანე და ფოთოლმცვენი ბუჩქოვნები. ნოტიო ხეობებში გვხვდება რელიქტიური უთხოვარი. გორაკ-ბორცვიანი მთისწინეთების ბუნებრივი მცენარეულობა მკვეთრად სახემეცვლილია, უმეტესად გაჩეხილია. ამჟამად ჭარბობს მეორეული დაჯგუფებები და კულტურული ნაკვეთები: ბაღები და ციტრუსოვანთა პლანტაციები. დაბალმთიან ზონაში გავრცელებულია წიფლნარი; საშუალო მთიან ზონაში შერეული ტყეებია გაბატონებული. აქ ტიპურია წიფლნარ-სოჭნარი და წიფლნარ-ნამცნარი, გვხვდება ნამცნარ-სოჭნარიც. მთის ტყეების ზემოთ სუბალპურ ტანაბრეცი-

ლა ტყეების, ბუჩქნარებისა და მაღალბალახეულობის ზოლი აკრავს. მაღალბალახეულობა ზემოთ თანდათანობით გადადის სუბალპურ მდელოებში. მაღალმთიანი მდელოები წარმოადგენს საზაფხულო სამოვრებს. მთიანი აფხაზეთი მდიდარია ძვირფას-მერქნიანი, სამკურნალო ნაყოფების მომცემი, საკვებად ვარგისი, თაფლოვანი და მთრილავი მცენარეებით.

ცხოველთა სამყარო. აფხაზეთის ტერიტორიაზე გვხვდება როგორც ბარისა და მთის ტყის, ისე მაღალმთის ცხოველთა სახეობები. სუბალპურ და ალპურ მდელოებზე ბინადრობს ჯიხვი და არჩვი. რიწის ტყეებში ცხოვრობს კავკასიური ირემი. მრავალგანაა შველი, გარეული ღორი. ტყეებში ბინადრობს მურა დათვი, ფოცხვერი და ტყის კატა; ბევრია კურდღელი, კავკასიური ციყვი, სხვადასხვა სახის თაგვები, პონტური ზღარბი და სხვა. ფრინველებიდან მაღალ მთებში ბინადრობს კავკასიური შურთხი, კავკასიური როჭო, მაღრანი, ალპური ჭკა. ბევრია მწყერი, ტყის ქათამი, ოფოფი, ნამგალა, ძერა, ქორი მიმინო, არწივი, ბატკანძერი და სხვა. ქვეწარმავლებიდან გვხვდება ხვლიკი, ბოხმეჭა, სპილენძა, გრძელი მცერფი, კავკასიური გველგესლა და სხვა. მრავალი სახისაა ამფიბიები. მდინარეებსა და ტბებში არის კალმახი, კოლხური წვერა, ღორჯო, ლოქო და ა.შ. აფხაზეთის ძვირფასი სანადირო\_სარეწაო სასარგებლო ფაუნისა და ფლორის დასაცავად შექმნილია ნაკრძალები და აღკვეთილები.

მთიანი აფხაზეთის ბუნებრივი რესურსების სიმდიდრე: მინერალური წყლები, თოვლიანი მთები, , სუფთა ჰაერი, თბილი ზაფხული, ჰაერის ზომიერი სინოტივე, მზიანი დღეთა რაოდენობა, თბილი ზამთარი, სუსტი ქარები, რელიეფის მრავალფეროვნება და ლამაზი ლანდშაფტი წარმოადგენს ამ მხარის კომფორტული კლიმატის დამახასიათებელ თვისებებს. ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების მრავალფეროვნება, მთიანი აფხაზეთს ტურიზმის, დასვენებისა და სამკურნალო კუთხით არაჩვეულებრივ მიმზიდველობას სძენს.

#### **ლიტერატურა:**

- 1) მარუაშვილი ლ. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია ნაწ. 1-2 თბ., 1969-70;
- 2) ელიზბარაშვილი ე. საქართველოს კლიმატური რესურსები, თბ. 2007;
- 3) საქართველოს ჰავა ტ.2 აფხაზეთი; ჰიდრომეტინსტიტუტის შრომები, თბ. 2006;
- 4) ჯავახიშვილი შ., საქართველოს კლიმატოგრაფია, თბ. 1977
- 5) საქართველოს ატლასი. თბ. 1992წ.

## Nature of Mountainous Abkhazia

### Akaki Naskidashvili

Academic Doctor of Geography Associate Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

*Nature of mountainous Abkhazia is given in the article. A diversity of its relief; geological structure, minerals and abundance of mineral springs are shown. Climate of mountainous Abkhazia and factors of its origin; types of mountain rivers supply; area of lakes and glaciers; zoning of soil; species of flora and fauna, which on their spreading create well-defined altitude zones, are considered.*

*The wealth of natural resources of mountainous Abkhazia: mineral waters, snowy mountains, fresh air, warm summers, moderate climate, number of sunny days, warm winters, weak winds, variety of relief and beautiful landscape are the characteristic features of the comfortable climate of this region. The variety of tourist-recreational resources makes mountainous Abkhazia extraordinarily attractive in terms of tourism, recreation and healing.*

The Autonomous Republic of Abkhazia is located in the north-western part of Georgia. Its area is 8.7 thousand square km.

**Terrain.** Geomorphologically, Abkhazia is mainly mountainous. About 74.5% of its territory is occupied by mountains and foothills. Mountainous Abkhazia, which is located within the Caucasus mountain system, mainly includes the Kodori and Bzif basins. The largest of the ridges is the main watershed ridge of the Caucasus, stretching from the northwest to the southeast.

**Geological structure and minerals.** The territory of mountainous Abkhazia includes the structures of the fold system of the southern slope of the Caucasus and the western parts of Georgia, which are built by the sedimentary and igneous rocks of the Precambrian, Paleozoic, Mesozoic and Cenozoic ages presented here.

**Soils.** A large part of the territory of Abkhazia is occupied by mountain forest soils, which are represented by humus-carbonate soils in the limestone zone, and in the carbonate zone by medium and small thick forest soils.

**The Air,** The air of Abkhazia is under the strong influence of sea air masses, which causes the abundance of atmospheric precipitations and the high relative humidity of the air in all seasons of the year;

The average value of relative air humidity during the year is: 81% in Avadkhara (1600 m); 83% Pskhu (685 m); 74% on the Gagra ridge (1644 m); 76

Atmospheric precipitation in mountainous Abkhazia is unevenly distributed spatially, both among individual orographic regions, as well as according to the seasons of the year.

On average, the amount of precipitation increases annually in the foothills and mountains with the increase in height above sea level: from 1561 mm in Gentsvi (780 m); up to 2481 mm in Avadkhara (1600 m); 2281 mm on the Gagra ridge (1644 m); 1793 mm in Upper Azhara (952 m); 1640 mm in Kvemo Azhara (595 m); 1679 mm in Gvandra (850 m); 1647 mm in Chkhalta (710 m); The amount of precipitation on the southern slopes of the Bzipi and Kodori ridges exceeds 3000 mm. Relatively less amount of precipitation falls in intermountain basins\_1500-1800mm; During the year, the maximum precipitation is in winter, and the minimum is in summer.

**Inland waters.** The network of rivers in mountainous Abkhazia is dense. The main rivers are Kodori, Bzipi, Ghalidzga, Gumista Mokvi, Kelasuri, Psou and Enguri. There are many waterfalls and rapids on the rivers, they are characterized by fast currents. Rivers are of mixed nutrition: from sea level up to 2000 m mainly with rain water, in high mountains with snow and ice melt water. The role of groundwater recharge in the karst zone.

Bavri Lake in Abkhazia is located in the high mountains, mostly of glacial and karst origin: Ritsa, Adueda, Adzizhi, Derikvaradzi, Kvarashi, Patara Ritsa, Amkeli, Tsisperi Lake, etc. There are 376 glaciers in the highlands of Abkhazia, with a total area of about 70 sq. km.

**Vegetation cover.** There are more than 2,000 species of plants in Abkhazia, including 150 species of trees and shrubs. The vegetation is rich in endemics and relicts, about 110 species. In terms of

distribution, they form clearly expressed altitudinal zones. The hilly foothills and the lower slopes of the mountains (up to 600-700 m) contain mesophilic Kolkhetian forests. The main varieties are oak, hornbeam, chestnut, beech, linden, lime, alder. It is rich in wild fruit trees. Evergreen and deciduous shrubs grow in the undergrowth. In humid valleys, relicts can be found. The natural vegetation of the hilly foothills has changed dramatically, most of it has been cut down. Currently, secondary groupings and cultivated plots predominate: gardens and citrus plantations. Beech forests are widespread in the low-mountain zone; Mixed forests prevail in the medium mountainous zone. Beech and spruce are typical here, and spruce and spruce are also found. Above the mountain forests is a belt of subalpine forests, shrubs and tall grasses. Upward, the tall grass gradually passes into the subalpine meadows. Upland meadows are summer pastures. Mountainous Abkhazia is rich in valuable, medicinal, edible, honey-bearing plants.

Animal world. On the territory of Abkhazia there are both bar and mountain forest and highland animal species. The subalpine and alpine meadows are inhabited by chamois and chamois. The Caucasian deer lives in Ritsa forests. There are many deer, wild boar. Brown bear, lynx and forest cat live in the forests; There are many rabbits, Caucasian squirrels, various types of mice, Pontic hedgehogs and others. Among the birds, Caucasian ruffed grouse, Caucasian grouse, and Alpine grouse live in the high mountains. There are many quails, wild hens, hoopoes, ptarmigan, woodpecker, sparrowhawk, eagle, and others. Among the reptiles, there are lizards, copperhead, long snake, Caucasian viper and others. There are many types of amphibians. In the rivers and lakes there are trout, bream, catfish, etc. In order to protect valuable fauna and flora of Abkhazia, nature reserves and protected areas have been created.

The wealth of natural resources of mountainous Abkhazia: mineral waters, snowy mountains, fresh air, warm summers, moderate climate, number of sunny days, warm winters, weak winds, variety of relief and beautiful landscape are the characteristic features of the comfortable climate of this region. The variety of tourist-recreational resources makes mountainous Abkhazia extraordinarily attractive in terms of tourism, recreation and medical treatment.

## გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, კონსტრუქტორი, პედაგოგი



